# Սայրը դատարկի



Համո Սահյան

ალექსი ლასურია

# მეგობრის გული



საქართველოს სსრ
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ნაკადული“
19 თბილისი 60

Т. П. Шьакрыл
лбиблиотека

აფხაზურიდან თარგმნა ოთარ კუპრავამ



***

ამ წიგნის ავტორი ალექსი ლასურია ერთ-ერთი ნიჭიერი აფხაზი პოეტია. მისი პოეზიის დამახასიათებელია ღრმა შინაარსი, გულწრფელობა და ფორმის სისადავე, მასში აღბეჭდილია საბჭოთა ადამიანის მღელვარე ფიქრები და გამარჯვების რწმენა. პოეზიის ამ მაღალმა თვისებებმა, პოეტის პრაქტიკულმა საქმიანობამ, მისმა გამოსვლებმა კოლმეურნეთა, მუშათა და მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე ა. ლასურიას აფხაზეთის ერთ-ერთი თვალსაჩინო და საყვარელი პოეტის სახელი მოუპოვეს.

ალექსი ედგეის ძე ლასურია დაიბადა 1927 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიტოულში, გლეხის ოჯახში. მომავალ პოეტს ადრე დაეკარგა მშობლები. ობლად დარჩენილმა შრომისმოყვარე ბიჭმა ცხოვრების გზა საკუთარი შრომით გაიკაფა. პირველდაწყებითი განათლება სოფლის სკოლაში მიიღო, შემდეგ სწავლობდა სოხუმის პედაგოგიურ სასწავლებელსა და ინსტიტუტში. სწავლას იგი შეუხანიშნავად ათავსებდა თეატრსა და გაზეთში მუშაობასთან.

1953 წელს ა. ლასურიამ დაამთავრა ა. მ. გორკის სახელობის მოსკოვის ლიტერატურული ინსტიტუტი.

ბოლო წლებში ა. ლასურია მუშაობდა აფხაზეთის მწერალთა კავშირში, ჟურნალების რედაქციებსა და სხვა შემოქმედებით ორგანიზაციებში. იგი იყო წევრი აფხაზეთის ასსრ მწერალთა კავშირის გამგეო-

ბისა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლიტერატურულ ცხოვრებაში.


ა. ლასურია ადრე გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1944 წელს. პოეტმა თავისი კალამი ლიტერატურის სხვა ჟანრებშიაც სცადა: წერდა მოთხრობებს, პიესებს, ნარკვევებს, თარგმნიდა. ბოლო ხანებში მუშაობდა სცენარზე: „სიმღერა რიწის ტბაზე“.

1952 წლიდან მისი ლექსებისა და პოემების რამდენიმე კრებული გამოქვეყნდა: „ჯულიეტას ხმა“ (1952 წ.), „ახალგაზრდობის სიმღერა“ (1954 წ.) „დაუვიწყარი“ (1956 წ.), „ჩემი სიმდიდრე“ (1957 წ.). 1958 წელს კი დაიბეჭდა მისი მოთხრობების კრებული „კიაბირხუნის განთიადი“. ა. ლასურიას ნაწარმოებები თარგმნილია მოძმე ხალხთა ენებზე.

ა. ლასურიამ თავისი კალამი ლიტერატურის მრავალ ჟანრში სცადა, მაგრამ პოეზია იყო მისი სტიქია, მისი შემოქმედების სული.

ალექსი ლასურია გარდაიცვალა 1959 წელს, თავის შემოქმედებით ძალთა გაფურჩქვნის პერიოდში.

## ხუხუტი ბლაჟბა



## ჩემი სიმდიდრე

მომიტევებდე, მკითხველო ჩემო,
გული საწადელს გვერდს ვერ აუქცევს,
სხვა ჩემს ამბავზე რად შევაჩერო,
თვით გაგილექსავ წიგნის თავფურცელს.

მრავალი მხვდება ამქვეყნად ბრიყვი,
მამის სიმდიდრით, საქმით ტრაბახა,
თითქოს ვერც მამჩნევს, ჩამივლის რიხით...
შენ იმათ რიცხვში, ვიცი, არა ხარ.

...მამაჩემს შვილსაც ერჩია ცხენი,
მასზე ხმა დადის საოცარ ამბად.
ადრე მომკვდარა დედა მზრუნველი,
აკვანს ნიავი მირწევდა ალბათ.

არ დამხვედრია სიმდიდრე ძველი,
მე სიღარიბემ ბევრი მაწამა,

დავრჩი მშიერი და ფეხშიშველი,
მაგრამ კაეშნით კი არ დავმწვარვარ.

ყინულისაგან დამსკდარ ფეხებით
მივაბიჯებდი სკოლისკენ ქარში,
ვიყავი ჭირში გაუტეხელი,
სწავლაში—მუდამ პირველი ბავშვი.

თბილად ჩაცმულნი, დარჩენილს ობლად,
ჩუმი დაცინვით მივლიდნენ ახლოს.
ვდუმდი, გულშივე ვიკლავდი ბოღმას
და ვჯურჩულებდი: „დაიცათ, ვნახოთ!“

—ბედშავო ბავშვო, დაეხსენ სწავლას,—
მირჩევდნენ ზოგნი, სოფლის მკვიდრები,—
უსწავლელადაც გეყოფა ძალა,
თოხს შეეჩვევი და გამდიდრდები...

შინ მიჭრელებდა მე წვივებს ცეცხლი
ბავშვს უდედმამოს და შავფიქრიანს,—
ვჭრიდი პაპათა გამოზრდილ ხეხილს,
კერა კი მაინც არ ჩამიქრია.

ვფურცლავდი წიგნებს, ვუჯექი კერას,
გული სიცოცხლის ტალღებს მივანდე.
ჭვარტლიან ჭრაქთან ლექსების წერა
გამიტაცებდა ზოგჯერ დილამდე.



მახსოვს: სოხუმში ნათხოვარ შარვლით
მოველ, ვიხილე მისი დილის მზე...
ასე ვეწამე ბედშავი ბავშვი
მძიმე ცხოვრების ვიწრო ბილიკზე.


რაღაცით მაინც ვგავარ მამაჩემს—
შვილს ვერ ვუნახავ სიმდიდრეს კაცი.
მაგრამ ვწერ ლექსებს, ვასწორებ, ვარჩევ
ეს არის ჩემი ძვირფასი განძი.

და დღეს ამ განძის ნაწილი ერთი
აქ გამოვფინე ლამაზი განცდით.
მკითხველო ჩემო, ვამაყობ შენით
და პატარა წიგნს თავაზით გაწვდი.

ფრინველი მხოლოდ ბარტყებს თუ ჩეკავს.
მე ძალმიძს მხოლოდ შევქმნა ლექსები,
ვერ მოგხიბლავენ? დე, სუსტი მერქვას,
ნურც დავრჩე შენგან ნაალერსევი.

გაშალე წიგნი, მოკეთე თუ ხარ,
გაიზიარე აზრები ჩემი.
თუ ყველაფერი შენს გულს ვერ ვუთხარ,
შემდეგში მეთქვას სხვა დანარჩენი.

აი, წინასწარ რაც მსურდა მეთქვა,
ჩემი სიმდიდრე მხოლოდ აქ არის.
მე მის შექმნაში თმა გამითეთრდა,
გახსენ კარები ჩემი ბაღნარის.



## საახალწლო სუფრა

მეკობრის ბინა აუვსია ტკბილ ჰანგთა ღელვას
და მასპინძელი სიყვარულით შესცქერის
ყველას.

ეს მეთორმეტე სართულია, ცაში ვართ
თითქოს,
დეკემბრის ქარი ფანჯარასთან დაღლილ
ფრთებს ითბობს.

ყველანი აქ ვართ, მაგრამ ჭიქებს მაინც აღარ
ვწევთ,
ჯერ მთავარ სტუმარს ველოდებით—ძვირფას
ახალ წელს.

შეკრებილ ფულით გაგვიშლია სუფრა
სტუდენტებს,
მაინც ვერაფერს ვერა ნახავს თვალი უკეთესს.



პოლონურ „ბიგოსს“ იანინა აწყობს, არ იცდის,
ბულგარელ ბლაგას ეხერხება ცხობა „ბანიცის“.

ველით: რადიო როდის გვამცნობს ახალწლის
მოსვლას,
საათს შევცქერით, სიხარული ნათელით
გვმოსავს.

ლოდინში ეგორ ვოლკოვიცკი კითხულობს
ლექსებს
და მეგობრებმა ლექსის სითბო ბადაგად
შესვეს.

თუმც ყველა ჩვენგანს როდი ესმის ეგორის
ენა,
მაგრამ ჩვენ გვესმის მეგობრობის სიმღერის
ჟღერა.

ქალებს ვაჟებიც ვეხმარებით დღეს
თავდადებით,
მე, კავკასიელს, დამევალა შევწვა მწვადები:

ირინა ნამცხვრებს დასტრიალებს, წინასწარ
აქებს,
და ყველა ჩვენგანს უშოვნია თავისთვის საქმე.

მოსკოვის ღამეს ქარი ებრძვის ფანჯრების
იქით,
შემომიშვითო,—გაიელვებს მინაზე ფიფქი.

ოთახში ცხელა, ყველას გული ხალისით
ფეთქავს,
თითქო სოხუმის გაზაფხულიც მოსულა
ჩვენთან.

ნელა იშლება მეგობრობის ლამაზი სუფრა,
ვხმაურობთ, ვხუმრობთ, დღეს არავინ არ
არის უბრად.

მაგრამ ეს ვინღა გასთიშვია, ნეტავ,
ქალ-ვაჟებს?
მის თვალებშიაც სიხარული რად არ
კაშკაშებს?

აქ დუღს სიცოცხლე, ის სად ეძებს
სიცოცხლის მიზანს?
გერმანელ ასულს ვაკვირდები—შნაიდერ
ილზას.

გარეთ ქარია და ფანჯრებთან ქარბუქი
ფხიზლობს.

ილზა, მე მესმის შენი ოხვრა ცრემლებით
სავსე,
ორმოცდაერთში მეც მტანჯავდა ცრემლები
ასე.



რომს ძმა მომიკლეს და ქვეყანა ჩემთვის
შეიძრა,
ო, სწორედ იმ დღეს წაიყვანეს ფრონტზე
შენი ძმა.

მწამს, შენ ამაში დამნაშავე არ იყავ, ილზა,
შენმა თვალებმა მე ამ რწმენით
გამომაფხიზლა.

ოჯახს სტოვებდა ძმა—ჯალათად
გადაქცეული,
შენ ჩაეჭიდე მის მაზარას ცრემლმორეული...

იქნება ის დღე მოიგონე სახეგამშრალმა
და შენს ნაზ გულში ქარიშხალმა ფრთები
გაშალა?

დააბრუნეო!—შესძახოდი კანკალით მამას,
სწორ გზას ასცდაო, გიკარგავსო მშობლიურ
ამაგს...

მეორე დილით გესტაპოდან დაგესხნენ
მკვლელნი,
წაგართვეს მამა—კომუნისტი, მებრძოლი
ძველი...

მწამს, ძმის საქმეში არ მიგიძღვის დანაშაული,
მაშ, მოდი, ილზა, და გავუხსნათ ერთმანეთს
გული.

მე მყავს ძმის შვილი, ვაჟი ომში დაცემულისა
შენ გყავს და, ალბათ შორით გესმის მისი
გულის ხმა.

მე და შენ ახლა პატარები უკვე არა ვართ,
მშვიდობის ჰიმნით უნდა შევკრათ ცაში
კამარა.

ჩვენი ვალია, არ მოვაკლოთ ზრუნვა პატარებს,
მაშ შევსწვათ, ილზა, იქ რწმენისა, თან რომ
ვატარებთ.

ახალი წელი მოდის, მოჩქეფს ღვინო
შუშხუნით,
არ დამანახო ეგ წარბები ჩამოღუშული.


გახედე მოსკოვს, ქრემლის შუქი როგორ
დაჰნათის!
დაე, არასდროს დაგვავიწყდეს ჩვენ ეს საათი!
რუსულ ქალაქში, რუსი მოძმის ჭერმაღალ
სახლში
ახალ სიხარულს ვეგებებით ხელების გაშლით.

ილზა, მე და შენ მინდა და-ძმა ვიყოთ
მარადის,
გზას გვინათებდეს მეგობრობა კუბოს
კარამდის.



შენ ბერლინს წახვალ, სხვები — პრაღას,
ანდა სოფიას,
მე თვით სიკვდილიც ვერ მომწყვიტავს
მშობელ სოფლიდან.

მაგრამ შვილები — მოწინავე, მეგობარ ერთა,
მარადჟამ ვივლით დაუვიწყარ ძოსკოვთან
ერთად.



## მიყვარხარ, ჩემო მშობელო მხარევ!

მკერდზე იხვავებ ვარდებს ათასფერს,
შავი ზღვის შხეფთა თეთრ მძივებიანს...
მოვლენ სტუმრები, ერთხელ გნახავენ
და შენს ტრფობაში მეჯიბრებიან.

მაგრამ მე განა ვდაობ იმათთან,
ვინც მზით იწვოდა მცხუნვარ სილაზე.
ამ ზღვის ემბაზში ვინც მოინათლა
და შეისუნთქა შენი სინაზე!

ვინ არ მოგელტვის, რა მხრის, რა გვარის,
ხელს სასოებით ვინ არ გიწვდიდა,
ის სიყვარული მაინც სხვა არის,
მე რომ შევიტკბე შენი მიწიდან.

სტუმრები მოვლენ, გტოვებენ ისევ,
მე წინ შენი ცა გადამეღობა



და გული შენი მზით რომ აღივსოს,
ორი სიცოცხლეც აღარ მეყოფა.

სხვამ იქნებ შენთან დღეები დაჰყოს,
ცოცხლადვე იქცეს „ბრინჯაოს კაცად“,
მე კი აქ ვიღწვი, ამ ცისქვეშ ვსახლობ,
შენც, როგორც დედა, მექცევი მკაცრად;

ისმენ, ამოწმებ ჩემს ხმას, სიცოცხლეს, —
მოჰქუხს თუ არა გულიდან ლექსი,
ხარობს თუ არა დიდების კონცხზე
ჩემგან ნათქვამი სტრიქონის ფესვი?

და ვუმღერ ლაღად არა ყვავილებს, —
ჯანდაბას იქით ჩვევა წარსულის, —
შახტებს,
აგურებს,
ყანებს,
ყამირებს,
ხალხს, ვინც სიმღერის მომცა დასტური.

მიყვარს ეს შენი მიწის სირბილე,
ზღვა — აღმაფრენა ჩემი მგოსნობის,
როგორც ტაიგა უყვარს ციმბირელს,
როგორც მოსკოველს უყვარს მოსკოვი.



## პოეტის უკვდავება

**დავით გურამიშვილისადმი**

ხდება ხანდახან: ცოცხლობს პოეტი,
გარს ეხვევიან მლიქვნელნი უხვად
და უყვართ იგი ყველგან, ყოველთვის,
და თავი თვითონ პოეტსაც უყვარს.

მაგრამ დრო გადის, დრო განუწყვეტლივ
მიედინება, სვლას არ ათავებს,
კვდება პოეტი...
ვით ზღვა მი წვეთი,
მისი დიდებაც ქრება მასთანვე.

სიტყვა გაჰყვება ხალხისგან ერთი,
თქმული ბრიყვებთან დასაჭიდებლად:
— შენ უკვე არ ხარ პოეტი ჩვენთვის,
შენი ლექსები არვის სჭირდება!



მაშ სადა თქმულა, ხალხს ჰყვარებოდეს
უმარილო და უძარღვო ლექსი, —
ხალხისვე ფიქრებს თან თუ არ მოსდევს,
თუ ხალხის გულში არ უდგას ფესვი!

ლექსი დროშაა, აწვდილი ცისკენ,
პოეტისათვის ლექსია ფიცი.
პოეტი უნდა ცოცხლობდეს, ვით მზე,
მზის ჩასვლას ჰგავდეს სიკვდილიც მისი.

დავით, შენ დაგყვა ეს ბრწყინვალება,
უკვდავი ლექსის ჯადოქარს ნამდვილს.
ქართული სულის წვა და წვალება
შენ სიმღერებად ასტყორცნე ცამდის.

დიდ მომავალზე ფიქრით გართული,
უცხო მხარეში ცხოვრობდი დიდხანს.
მაგრამ გახსოვდა მიწა ქართული,
შენ მაინც მისი მგოსანი იყავ.

გულით ეტრფოდი ტრამალებიან
ვრცელ უკრაინას, მწვანით მემოსილს.
მაგრამ არასდროს დაგვიწყებია
ეს ჩვენი მთები, საქართველოსი.

სიკვდილის დღემდე დარჩი იმ მხარეს,
მის პურსა სჭამდი, სვამდი მის წყალსა;

Т.П. Шьакрыл
лбиблиотека

შვილად მიგიღო და შეიყვარე,
როგორც სამშობლოს, უმღერდი მასაც.

რიწისფერ ზეცას უმღერდი მისას,
დარდთა და ჭირთა დასაურვებლად,
როგორც ლესია, შვილი იმ მხრისა,
ჩვენს, საქართველოს ქედებს უმღერდა.

ხალხის სიყვარულს არ აქვს სამანი,
ხალხს ემსახურე კუბოს კარამდის.
უკვდავების მზე რთავს შენს სავანეს.
მგოსნად იცოცხლებ ქვეყნად მარადის.





* * *

ვგრძნობ ჩემს გულში შემოვიდა
გაზაფხული, მაისი,
ახმაურდა ძარღვში სისხლი,
მიპყრობს მძაფრი ხალისი.

თბილ მიწაში მიდგას ფესვი,
გარს ფრინველთა ხმა ისმის,
ტყენი მწვანით შეიმოსნენ,
მე ვარ მათი ლარიქსი*.

მთის წყარო ვარ ცივციველა,
კლდის ნაპირას ვკამკამებ,
მსვამენ შრომით დაღლილები,
წყურვილს გულზე მაკლავენ.

---


* ლარიქსი — რბილწიწვიანი მცენარე (რბილწიწვიანა).

ხან ვარ მიწის სინოტივე,
სოფლად დოვლათს ვახვავებ,
სათიბებში ბალახი მწოვს,
მხარჯავს ველი საყანე.

ნიავი ვარ, დასიცხულის
მკერდზე ცივი ქარი ვარ.
მიწას ოფლად დავეღვრები,
შევერგები მარილად.

მე ისა ვარ, რაც სიკეთეს
და სიცოცხლეს სჭირდება,
ჩემი ქვეყნის წინსვლა მინდა,
ჩემი ხალხის დიდება.





* * *

ფანჯარასთან ვდგავარ, წვიმს,
წვიმს და სივრცე ტოკავს,
ღრუბლები წყალზე წასულან,
წაქცევიათ კოკა.

ისე ასხამს, იმგვარად,
გეგონება ახლა:
წვიმის სიმებს რომ დაენდო,
აჰყვე, მაღლა ახვალ.

... ეს რა უცებ გადიღო,
დაწყდა ყველა სიმი,
ცისარტყელამ შეაერთა
კოდორი და ბზიბი.


მზე დაეშვა მთებისკენ,
ბრწყინავს, განა ტირის!
თეთრი ღრუბლით შეიმშრალა
დაბანილი პირი.

როგორ სრუპავს მიწა წყალს,
სწყურებია ძლიერ,
ცა რა ნაზად იწმინდება,
როგორ იცვლის იერს!

ვუყურებ და სილურჯე
მთებს არშიას ავლებს.
ცის სარკეში თითქო ვხედავ
სატრფოს ლამაზ თვალებს...

...





## დიდი სიხარული

დილამ ინათა, სახლს ვტოვებ უმალ,
მინდა მისმენდეს ყველა.
არ დამაყენა შინ სიხარულმა,
დავალ, ვჩურჩულებ, ვღელავ.

პირზე ღიმილი გადამფენია,
ხალხს გულით ჩემსკენ ვუხმე.
გამოველ, სხვებსაც მოვუთხრო მინდა,
რაც ჩვენსას მოხდა წუხელ.

ჩვენს დიდ ქუჩაზე, ჭერმაღალ სახლში,
მეზობლის ბინის გვერდით
ფეხზე ვიდექით დიდი თუ ბავშვი
და გვიღელავდა მკერდი.

ძილგატეხილებს რაც იქ გვახარეს,
იმ მოელვარე კართან,
დღეს მიიტანოს უნდა ხალხამდე
„იზვესტიამ“ და „პრავდამ“.

რედაქტორებო, არ გედავებით,
როს ვინმეს სიკვდილს გვამცნობთ,
ცრემლით გვევსება მუდამ თვალები,
ვგლოვობთ ნათესავს, ნაცნობს.

და ეს კი არა, თუ მეუღლენი
ვერ თავსდებიან ერთად,
ჰკიცხავთ, აძაგებთ მახვილი ენით
და გვინდა სიტყვა ჩვენც ვთქვათ:

მართლაც ორგულნი არიან ჩვენი
მოძმე საბჭოთა ერთა...

მაგრამ ეს როდი მაწუხებს ახლა,
დღეს სიხარულით ვღელავ.
წითლად დაბეჭდეთ! და მე შევძახებ:
— მაშ, წაიკითხეთ ყველამ!

ამ სამი სიტყვით დაიწყეთ თუნდაც,
გავხდეთ ზეიმის მოწმე.
გულშავ მოძულეს შეეკრას სუნთქვა,
ჭიქა ასწიოს მოძმემ.



ო, მეგობრებო, საერთო ხალისს
ფრთები შეუსხამს ჩემთვის.
უფრო მეზრდება იმედი ხვალის,
ჩემი ხმა ლაჟვარდს ერთვის.

მინდა სიმღერით მოგგვაროთ შვება,
როგორც შეფერის ჩვენ დროს.
იქნება იცნოთ გულად მმენებელს,
ჩემს კარგ მეზობელ პეტროვს?

მაშ თქვენც გაიგეთ, თუ რა მახარებს:
მისმა მეუღლემ ღამით
ოჯახს შეჰმატა შუქი ახალი —
ცისფერთვალება ქალი!



## ბარათი ფესტივალის მონაწილეებს

ფეხდაფეხ შემომივლია ჩემი მშობელი
მთა-ველი,
არ დამრჩა ერთი სოფელიც, მიწის არც
ერთი მტკაველი.

მოხუცთა ბაასს ვისმენდი, ოცნებით სად არ
ვიქროლე,
მათგან მივიღე საჩუქრად ცეცხლი, რომ
მიკლდა სტრიქონებს.

მათი ზღაპრებით შევიტკბე სიტყვის მადლი
და ჯავარი,
მათთან გავწაფე ჩემი ხმა, ჩემი ოცნება
მთავარი.



მათგან შერჩეულ ფერებით მოვაჩუქურთმე
პწკარები,
ჩემი სიმღერის იალქნებს უცებ მოაწყდნენ
ქარები.

ათასწლოვანი კაკლის ქვეშ ტკბილი ფიქრებით,
განცდებით
ერთად ვქარგავდით ამ ფურცელს მე და ის
ბერიკაცები.

ქედებზე მთვარე გადმოდგა — ღამის გუშაგი
მარადი,
რომ ელვარებით აევსო ეს სიყვარულის
ბარათი.

— იცოცხლეთ, გახდით ამ წმინდა მიწის და
ზეცის ხნისანი,
სტუმრებო, ახალგაზრდებო, ბრწყინავდეს
თქვენი მიზანი.

სადაც წახვიდეთ, თან გაგყვეთ დედის ლოცვა
და კურთხევა,
ვისაც გული გაქვთ მართალი, ვინც გვიძმო
სიტყვის უთქმელად.

დიახ, ჭალარა მოხუცთა მიკურთხეს მგოსნის
კალამი,
რომ ჩემი ხალხის სახელით მომეძღვნა
წრფელი სალამი

თქვენთვის, ვის ხელშიც ელვარებს
ბედნიერების ალამი,
თქვენთვის, ვინც არი მშვიდობის გუშაგი
დაუღალავი.

ვერც გამოვაკლებ, ვერც დავსძენ, თუ ფიქრში
სხვა რამ იელვებს,—
ჩემთვის ასეთი უფლება არ მოუციათ
მთიელებს.

რაც მითხრეს, ჩემთვის მის გარდა სხვა
სიტყვა აღარ არსებობს,
მასვე მოგძახით შორიდან, ძვირფასნო,
ახალგაზრდებო.

ასეულ წლობით ვყოფილვართ ჩაგრულნი,
მივიწყებულნი,
ჩვენზე არავინ ზრუნავდა, წვალობდნენ ჩვენი
ერთგულნიც.

რიცხვით ცოტანი ვიყავით, მოგვხარა
ტანჯვის უღელმა,
ვისაც არ ეზარებოდა, თავში გვირტყამდა
სუყველა.

არ ვმრავლდებოდით, მაგრამ ჩვენ არც
ამოვმწყდარვართ სრულებით,
მშობელ მიწაზე უმიწოდ დავრჩით
გულდაისრულები.



სიწმასთან ერთად თვითონ ჩვენც, სახლ-კარი
თავს რომ დაგვენგრა,
ალბათ გაგვყიდდნენ მდიდრები, ხმალს ხელი
რომ არ გაგვეკრა.

მაგრამ ფიცხია აფხაზი, არჩევს მტერსა და
მეგობრებს,
ერთ ყბაში სილა თუ გაჰკრეს, აღარ
მიუშვერს მეორეს.

მან მხნედ დაიცვა ეს მიწა, საფლავნი
მამა-პაპათა,
როგორც ვაჟკაცის წესია, სიკვდილზე ხელი
აღმართა.

მუდამდღე ხმალი ებღუჯა მშვიდ ცხოვრებაზე
ოცნებით,
ამიტომ იმის ხელისგულს დღესაც ატყვია
კორძები.

განა ამაოდ იბრძოდა მხნედ მდგარი
თანატოლებთან,
მკერდნატყვიარიც, დაჭრილიც ბრძოლის
ველს რომ არ სტოვებდა?

არა! ამაო არ იყო მისი სისხლის ღვრა,
განგაში,—
ჩრდილოეთის ქარს იმედად მოჰქონდა სხივთა
კამკამი.

რუსი მოძმის ხმა ესმოდა, უფრო უჭრიდა
მახვილი,
გულს უმხნევებდა მეომარს დიდი ლენინის
ძახილი.

ოდესღაც სისხლით მორწყული, დღეს
ჰყვავის მიწა ქართული,
აკვნები მომრავლებულან, სართულს
მიჰყვება სართული.

თავს დაგვფრიალებს ამაყად, მორთული
სხივთა არშიით,
მამათა სისხლით ნაღები, ლენინის დროშა
გაშლილი.

მობრძანდით, გახდით ზღაპრული წინსვლის,
დოვლათის მნახველი,
ძმათა ოჯახში დიდებით ჰქუხს ჩემი ქვეყნის
სახელიც.

იხილეთ: მთებზე ბაღები, ზღვაზე სხივების
თამაში,
პური გასტეხეთ ჩვენთანაც, ჩვენს მამა-პაპურ
მარანში.

ხელი ხელს მივცეთ სიმღერით, დაე,
გვისმინონ ერებმა,
დავლოცოთ ძმობის სიმტკიცე, სიცოცხლის
ბედნიერება.



ხალხთა ფიქრი და ოცნება ცათა ლაჟვარდებს
მოვფინოთ,
ამ მიწა-წყალზე შეყრილებს შემოგვცქეროდეს
მსოფლიო.

ზღვაში, სოხუმის ნაპირთან, გიჩვენოთ ერთი
ხომალდი,
ქანგს დაუფარავს ფსკერიდან ამოღებული
ფოლადი.

ო, ეს ხომალდი, გჯეროდეთ, მარადჟამ
გვემახსოვრება,
ისე, ვით გვახსოვს: ოდესღაც ჩაქრება ჩვენი
ცხოვრება.

ის ჯავშნოსანი როდია, მტრისგან საზღვრების
დამცველი,
როდი ილტვოდა ფრონტისკენ მებრძოლი
ჯარისკაცებით;

ორმოცდაორის ქარცეცხლში, როს ქუხდა
გმირთა მარჯვენა,
სევასტოპოლის ბავშვები მოჰყავდა
გადასარჩენად.

ნავსადგურს მოუახლოვდა, ღუზაც ჩაუშვა
იმწამსვე,
რომ გადმოესხა ნორჩები აქ, უქარიშხლო
მიწაზე.

უეცრად სვასტიკიანი გუნდი გამოჩნდა
მფრინავთა,
დაჰკრა, ჩასძირა ხომალდი, ზღვაც
მრისხანებით გრგვინავდა.

და მთელი კვირა, იმ დღიდან სოხუმის
სანაპიროზე
ზღვას გამოჰქონდა გვამები, თითქო
ტალღებიც ტიროდნენ.

ეს გახსენება უბრალოდ სიტყვას არ
მოუტანია,
მსოფლიოს ახალგაზრდობავ! სიფხიზლე შენი
ვალია.

რომ საზარელი სისხლისღვრა არ განმეორდეს
არასდროს,
დე, ყველა ერმა გუშაგად თვისი ძალები
დარაზმოს.

აი, რაც მქონდა სათქმელი, ეს არი ჩვენი
ბარათი,
ხალხთა ცხოვრების წინსვლაა ჩვენი ოცნება
მარადი.

თქვენა ხართ ჩვენი იმედი, ქვეყნებს შუქსა
ჰფენს თქვენი მზე,
მტრებს ნურც შეჰყრიხართ, იხარეთ— ლხინზე,
ქორწილზე, ზეიმზე.



... სათ მიკარნახეს, მათ ჰქარგეს ფიქრი
დაძრული ზვირთებად—
ფურიფშის, კვიტოულისა, ლხინის თუ
ჯგერდას მკვიდრებმა;

მათი ხმა მოსდევს სტრიქონებს უქრობი
შუქით მმოსავი,
თვით ლასურია ყარა ვარ, ერთი აფხაზი
მგოსანი.



## მხარე სულის და გულისა

გულის ტრფობა, გულის სითბო
ჩემთვის შენი მთებია,
რა დააშრობს ამ ზღვის სივრცეს,
სულს რომ შენივთებია!

დღე-ღამ გიცქერ, ნურც ვიცოცხლებ,
თვალი მე თუ დავხარო,
სულისა და გულის მხარევ,
ჩემო მზეთუნახავო.

ცად მზე ბრწყინავს, მთებს ჩანჩქერთა
სამოსელი აცვიათ,
შიგ კალმახი გაიელვებს,
ნაპერწკლები გასცვივა.

წინ მიიწევ, გზა დოვლათით
და სინათლით აგევსო,



საყვარელო ზღვისპირეთო,
დედაე, უძვირფასესო.

შენ ტოლი ხარ დედამიწის,
ურიცხვ წელთა ნარბევი,
რახანია, ვით ერცახუს*,
შეუერცხლია წარბები.

ვინ დასთვალოს რაოდენჯერ
გთელეს, დაგწვეს, დაგტანჯეს.
პირსისხლიან გადამთიელს
ურბევიხარ ათასჯერ.

შორს გაჰქონდათ შენი თაფლი,
გყვლეფდა მტერი გამცემი,
შენ კი ცრემლით სავსე თასი
გქონდა გამოსაცლელი.

შორს გაჰქონდათ ვაჭრებს ხე-ტყე,
ტევრებს ჩეხვა ვერ ასცდა,
შენ კი სამოსდაფლეთილი
თრთოდი ჩამქრალ კერასთან;

წყალს ნატრობდი წყაროს თავზე,
მზეს ნატრობდი მზის შვილი,

---

* ერცახუ—მთაა დასავლეთ საქართველოში.

შენს ფაცხებში უფროსივით
დადიოდა შიმშილი.

მაგრამ განა მხდალი იყავ,
სიკვდილის პირს მიმდგარი?
მძვინვარებდა შენს გულმკერდში
მრისხანების გრიგალი.

ვაჭრებსა და მტაცებლებში
არვინ გყავდა შემცოდე,—
და ღამემდე აფხაზები
მიწას კავით ებრძოდნენ;

ღამით შრომით დაღლილები,
დარდით სახემკრთალები,
დასხდებოდნენ ცეცხლის პირას
ანთებული თვალებით;

ახდებოდნენ განა უბრად?
გახსენებდნენ თავაზით,
შენს ბედნიერ მომავალზე
ჰქონდათ სჯა და ბაასი.

მათთან იყო იმ დიდ წლებში
სერგო ორჯონიკიძე,
„ავრორას“ ხმას მოელოდნენ
მტარვალების სიკვდილზე.



და იქუხა „ავრორამაც“,
ხალხი ბრძოლად დარაზმა,
შეხარბაცდა, შეტორტმანდა
დედამიწა ანაზდად.

მიხრწნილი დრო რუსეთისა
დაილეწა, დაირღვა,
ფაბრიკები მუშამ იგდო,
მიწა—გლეხმა ღარიბმა.

ნევის თავზე ცა განათდა
ახალი მზის ელვითა,
დაირაზმა აფხაზეთიც,
გული გულთან შენივთდა,
ამოსწვადა თვისი ხმალი,
ფიცი დასდო ლენინთან.

ზღვის მახლობლად, სადაც ბზიბი
მიჭუხს, ხევ-ხევ მიყვირის,
დაცემულა ბიძაჩემი
დაცხრილული მტრის ტყვიით.

ბრძოლა იყო, ჯერ ღრუბლებში
არა ჩანდა ჩვენი მზე
და დედები მუხლმოყრილნი
ლოცულობდნენ ლენინზე.

ჩემო მხარევ, იმ ბნელ წლებში
მენშევიკურ მთავრობას

მოესურვა შენთვის უღლის
დადგმა, ალამდაროობა.

მაგრამ მალე მოგევლინა
შენ ლენინის არმია,
სძლია მტერი, მათი სისხლი
ლურჯ ტალღებში გარია.


გაზაფხული კვირტებს რომ შლის
და აანთებს სანთლებად, —
შენც ასევე გაგაცოცხლა
ოქტომბრის მზის ნათელმა.

ვით ჭაბუკი, გაჩენილი
სვეპედნიერ ვარსკვლავზე, —
იზრდები და ტკბილად მღერი,
ზღვა დუდუნით ბანს გაძლევს.

ძველისძველო მიწა-წყალო,
წყლული დღეს არ გაჩნია,
ახლად გშობა ოქტომბერმა,
ახლად აღმოგაჩინა.

კრემლის შუქურვარსკვლავია,
რომ გინათებს მწვერვალებს,
და შენს მკერდში საუკუნო
განთიადი ელვარებს.





* * *

მიყვარს, როდესაც თოვს განუწყვეტლად
და ქარი მთებში გაჭრილა,
ხუხარში კუნძებს ცეცხლი ედება,
სივრცეს გავცქერი ფანჯრიდან.

მიყვარს, როდესაც მიხმობს ეს ქარი:
ავფრინდე, ვითა არწივი,
ლაღად ვმღეროდე ჰანგით მჭექარით,
მთებისკენ ხელებგაწვდილი.

რა ლამაზია თეთრი სახლები,
ხენი, გაშლილნი აფრებად!
მიყვარს, როდესაც დამიძახებენ
საგუნდაოდ და სარბენად.


გავდივარ გარეთ, ტოლებს ვეწვევი,
თეთრ „სუფრას“ მინდა დავხედო...

ვის შეუძლია, წამომეწიოს,
თოვლით ამივსოს საყელო!

მიყვარს, როდესაც გულად ჭაბუკებს
ქარბუქში მარჯვედ მივყევარ,
სახეში ფიფქებს მაყრის ქარბუქი
და თითქო მიწა ირყევა.

მიყვარს, იანვრის დღე რომ ბრაზდება
და თოვლი ხეებს აქანებს,
წინ რომ ვისწრაფვი ახალგაზრდებთან,
გზადაგზა ვტოვებ ნაკვალევს.





## მეგობრის გული

ჩვენ აღვიმართეთ ნაპრალთა მაღლა,
ძირს ღრმად ჩაჭრილი დიდი ხევია.
შიგ მდინარე ხპსტა ეშვება ლაღად,
შხეფები ცისკენ მიირხევიან.

როგორც სვანური ჭუდი ნაბდისა,
ცაზე კიდია მთვარე პირბადრი
და დიდებულად გვიმზერს დაბლიდან
სუნთქვაშეკრული ხევი ზვიადი.

— რა უნდა იყოს ამ ხევზე უფრო
ღრმა და უძირო, გარდა ზღვებისა?—
ჩემთან ჭაბუკი დინჯად საუბრობს
გაფითრებული თავბრუს ხვევისგან.

ო, თანამგზავრო, გეტყვი: ამ ხევმა
მე გამახსენა ძველი ამბები.

ამ ხევს ბილიკით ჩავაღწევთ ხელად,
თუმც ის ღრმა არის, არ გედავები.

მაგრამ შენ იცნობ გულს მეგობრისას,
შეუდარებლად ღრმას და განიერს?
მასთან ბილიკით ვის ძალუძს მისვლა,
ფართო შარაგზა თუ არ გალიე.

მახსოვს, სანგარში შემეკრა სუნთქვა,
თავზე დამადგა სიკვდილის ჩრდილი.
დაჭრილმა მოძმემ მიმიკრა გულთან
და ლაზარეთში აღმოვჩნდი დილით.

ვგრძნობდი, მიხმობდა დღე აღსასრულის,
მიცივდებოდა უკვე ტუჩები,
ნელინელ ცემდა ეს ჩემი გული,
ტანს მიწის ფერი მედო უჩვევი.

სისხლი უნდაო,—ექიმის ხმაზე,
იმ მეგობარმა, დაჭრილმა თვითონ,
მე ვაძლევ სისხლსო! — შესძახა წამსვე
და დამიბრუნა სიცოცხლის სითბო.

ზღვაც არ მეგულვის ვით გული მისი,—
ღრმა, განიერი, გაშლილი, სუფთა.
და ეს ხევი კი, სიღრმით თავისით,
ჩიტის ბუდეა მეგობრის გულთან.





## ფიქრები ლენინზე

რამ დამავიწყოს სკოლის ზარის ხმა,
შინ დაბრუნება, ბინდი,
ტყე და მდინარე კლდეთა მხარიმხარ,
წყალზე ბეწვივით ხიდი.

გამუქდებოდა ზეცის ლივლივი
და მე ღამეში ვიშით
მოვცახცახებდი.
გზაზე ჩრდილივით
მდევდა საზარი შიში.

მას უკან წყალმა იდინა ბევრმა,
გავედ ცხოვრების გზაზე,
თმა ნაადრევად თოვლს შეუფერავს,
სოფლად ვბრუნდები ასე.

ვხედავ: ბნელ ღამით, მწითური ბიჭი—
ჩემი ძმისწული მარდი,
ჩემთვის ნაცნობი გზითა და ხიდით,
სკოლიდან მარტო დადის.

ოი, ძმისწულო, გმირი ყოფილხარ,
მე შიში მახლდა მწველი,
ტყით სიარული გიხდება დიდხანს,
ტყე არ გაშინებს ბნელი!

რად გაეცინა, ნეტავ, პატარას?
— საშიშად ტყეს რად თვლიდი?
გზაზე გუშაგად შუქი დამდგარა,
წყალზე ხიდია დიდი.

გავხედე სივრცეს, ვით დილის სისხამს,
სად არი ღამე ბნელი!
წყლის პირას ძეგლი დგას ლენინისა,
წინ გამოწვდილი ხელით.

ელნათურებმა ინათეს უცებ,
სხივნი არეკლა წყალმა.
აქ აუნთია შუქი დიდ ლენინს
მთიელთა გასახარად.

შავი ზღვის პირის დიდი სინათლე
მოსულა ერცახუმდე,




ღამე ხევდახევ კალთებს მიათრ
ბრწყინავს არწივთა ბუდეც.

სოხუმ-ქალაქის ღამაზ მთებიდან
თითქო რიჟრაჟი მოფრენს.
ილიჩის შუქით განათებია
სივრცე პატარა სოფელს.

უხვი სინათლის სხივები აწვიმს
საუკუნოვან წყვდიადს.
რა შეაშინებს პატარა ყმაწვილს,
გზას რომ მოჰყვება ტყიანს!

მორბის თამაშით, ფიქრებს ონავარს
არც იცნობს ლხენით სავსე
და ყოველ ღამე სახლში მომავალს
ილიჩი ხვდება გზაზე.



* * *

მშვიდად გავცქერი ქედებს გოლიათს,
ციდან მზის სხივთა ნათელი მაწვიმს,
ზღვა არ ღელავს და ასე მგონია,
ფრთა დაუკეცავს მომაკვდავ არწივს.

წელან გრგვინავდა ფაფარაშლილი,
დაღლილი ალბათ ისვენებს ახლა.
უჩვევი გრძნობის ჟრჟოლა ტანს მივლის,
ვზივარ, თან ძველი ფიქრები მახლავს.

რითი არა ჰგავს ზღვა ადამიანს?
ზღვა მძლავრი თუა ადამიანზე?
მაშ ეს გემები ვის შეუქმნია,
ლურჯ სივრცეებში რომ დაირაზმნენ?

არა! მძლეთამძლე, მწამს, ჩვენ ვართ ქვეყნად,
ძალგვიძს მოვწყვიტოთ ციდან ვარსკვლავიც,



დავიღლებით და ვისვენებთ ერთხანს
სწორედ ამ ღელვით დაღლილ ზღვასავით.

შემდეგ შეგვიპყრობს კვლავ აღმაფრენა,
ვიწვით, მიზნისკენ გული მიგვიწევს.
ზღვას კი გრიგალმა თუ არ დაჰყეფა,
მშვიდობით, ველარ გამოიღვიძებს.

ის ლამაზია, როცა ჭუხს ერთობ,
ჩვენ—როცა შრომით მარჯვენას გავშლით.
მაინც რა არი ასე საერთო
ნეტავ ზღვასა და ადამიანში?



## რითაა კარგი ეს ჩემი მხარე

თითქოს არასდროს მენახოს
მე აფხაზეთის მთა და ზღვა,
სხვადასხვა კუთხის შვილთაგან
უეცრად ვიგრძენ „თავდასხმა“.

მიქეს და მიქეს ჩემივე
ეზო და ყანა-ბაღნარი,
მზეთუნახავი გარემო,
ქედები მაღალ-მაღალი.

ბაჯაღლო სიტყვებს ეძებდნენ,
სათქმელს ქარგავდნენ არაკად,
ერთი—სოხუმზე, მეორე
გაგრაზე ალაპარაკდა;

მესამემ ზღაპრად დასახა
რიწის სილურჯე, მშვენება.



ვიყავ მდუმარედ და გული
ფიქრთა ჭარავნებს შეება.

ბაღები აქო ჭაბუკმა,
უსმენდნენ განაბულები,
ბოტანიკოსი თუ იყო,
გატაცებული ბუნებით!

რა არ მიხსენეს: ვარდები,
ოლეანდრები, პალმები,
სოხუმის მთაზე მიმოზის
ამონამული თვალები...

ერთი ღვინოზე მღეროდა,
დამთვრალა „იზაბელათი“,
ვერ ვისვენებდი დუმილით
და უჩვეულოდ ვლელავდი.


ეჰ, რა სიღრმისა ყოფილა
ეს მოთმინების ფიალა!
მოხუც პროფესორს შევხედე,
თმებგადავერცხლილს მთლიანად.

სოხუმის მაიმუნებიც
ახსენა მოურიდებლად,
კაცთა ამ ჩია წინაპრებს
დაუწყო ქება-დიდება.

მაშინ კი ვერ მოვითმინე,
ავჯანყდი წყენით, განგაშით:
— დიახ, კარგია ეს მხარე,
არ გედავებით ამაში,

მაგრამ ის როდი ამაყობს
მაიმუნებით, მთა-ბარით.
ხალხია მისი სიმდიდრე
და სილამაზე მთავარი!





* * *

აკვნის ჩვილები ვის არ გვიჭია,
მათი მშობელი დედაც.
შემდეგ რამდენზე გაგვიფიქრია:
— რად დაიბადა ნეტავ!

ვიდრემდე ცოცხლობ, იყავი თბილი
სიკეთით, ღვაწლით, წვითა,
მზის ჩასვლას ჰგავდეს შენი სიკვდილი,
დაგრჩეს სახელი წმიდა.



## ბალიკანა

ჩემს წინაშე შენ გაძაგებს,
მე მაძაგებს შენთანა.
კაცსა ჰგავს და გული ღვარძლით
ავსებია ერთთავად.

ვმეგობრობდით, ვაფასებდით,
გვწამდა მისი, გვჯეროდა,
ბევრჯერ ლხინში ჩვენი გული
მის საქებრად მღეროდა.

გახსოვს? პირში გიღიმოდა,
კუდს გიქნევდა ფინია.
ენდე, რადგან მეგობარი
სულზე უფრო ტკბილია.



მას გაანდე წრფელად შენი
სიხარულიც, დარდებიც.
არასოდეს დაგიმალავს
მისთვის გულის ნადები.

როს ზეიმზე გეწვეოდა,
სუფრის თავში დასვამდი,
თამადობას მიანდობდი
და გიყვარდა ძმასავით.

ჭალს ნიშნავდი, თან იახლე,
მხარში გედგა ბოლომდის.
მასზე როგორ იფიქრებდი,
გული აქვსო ბოროტი.

ლაყბობდა და ფარფაშებდა,
რაკი შეხვდი კაცურად.
განა რამე დაგიფასა
იმ ბილწმა და მაცდურმა?!

ლაფს ასხამდა თავის უფროსს,—
წყალიც ვერ გარეცხავდა.
შენც რომ რამე დაგცდენოდა,
თურმე ესღა ეწადა.

ფიქრებს რომ არ უმალავდი,
არ უცქერდი უნდობლად,

იმ დღეს თითქო ლხინში იყო,
ისე მხიარულობდა.

ხომ გინახავთ ქურდი ძაღლი,
ჩუმად კვერცხს რომ იპარავს?
სალამოჟამს მის უფროსთან
მიძვრებოდა იმგვარად.

ყორანი არ გათეთრდების,
რაც უნდ ხეხო ქვიშითა.
სიტყვის წაღებ-წამოღებას
ის წამით არ იშლიდა.

ახლაც ღებავს შენგან ნათქვამს
სააღდგომო კვერცხივით,
გაბერავს, რომ სხვების თვალში
ჩანდე პირშერცხვენილი.

მაგრამ ვინაც გამგებია,
მიუხვდება კაცობას.
დააკვირდი, ჭორიკანა
ადვილია საცნობად.

ვინაც შენთან ჩვენ გვაძაგებს,
ჩვენგან ართქმულს გიყვება,
გწამდეს, ჩვენთან შენა გლანძღავს,
გვიწვევს გასაბრიყვებლად.



გვარსაც ვიტყვი, მაგრამ განა
რამე არ გამეგება?
მინდა ცოტაც დავიცადო,
გონს მოეგოს ეგება.

თუ ცოცხლადვე არ მომკვდარა,
იქნებ იქცეს საქებად,
შეიგნოს, რომ ჭორაობა
სამარცხვინო საქმეა.

დე, მაცდურს და მატყუარას
ჩვენში არვინ ყვარობდეს.
რამე თუ არ მომეწონა,
არ დავფარავ აროდეს.

ფინიას კი ვერასოდეს
კაცის ქუდს ვერ დავხურავ,—
ისიც ძაღლის ჯილაგია,
დორბლი დასდის ძაღლურად.



## ფიქრები მურმანსკში

რ კ ა ლ ი

* * *

ბავშვობიდანვე შევზრდილვარ ზღვასთან,
ვერ გამაკვირვებს ზღვა მღელვარებით.
მურმანსკო, მოველ, მენახა რათა
შუქით ავსილი შენი თვალები.

სკოლის წიგნიდან შემომეთვისე,
ბევრჯერ რუკაზე გეძებდი ღელვით...
მზეთუნახავო ჩრდილოეთისა,
რამდენჯერ დავკარ მგზავრის ქუდს ხელი,

მაგრამ გამისხლტა დრო მეხვალიეს,
ჩემზე ასრულდა ანდაზა ძველი.
შორს იყავ, შენსკენ გზა ვერ გავლიე
და ნატვრად იქცა ოცნება მწველი.



დღესღა გესტუმრე. ვამბობ: სალამი!
სალამი ჩემი მშობელი მიწის.
ჭირსა თუ ლხინში ის შენთან არის,
დღეს ჩემთან ერთად გეწვია ისიც.

სალამს გითვლიან ლურჯი ქედები,
ჩანჩქერთა გრგვინვა კვალდაკვალ მომდევს,
სალამს გითვლიან მშენებლობები,
მანდარინები ძირს ხრიან ტოტებს.

თან მომაქვს სიტყვა მხნე მთიელების,
გულში რომ ჰანგი ამიხმოვანა,
იქნება ჰპოვო დრო შესვენების,
სინდისსა ვფიცავ, მათი თხოვნაა, —

შეც ჩემი მხრიდან თავაზით დავძენ:
სტუმრად გვაწვიო შენი მკვიდრები.
დავსხდებით, ჭიქებს ღიმილით ავწევთ
და ოცნებებში გავირინდებით.

ძმობაც, ხალისიც გვექნება მეტი,
გელით, ამ დღისკენ ვილტვით, ვიჩქარით.
აფხაზთა გული ღიაა თქვენთვის,
ღია დაგხვდებათ ყველა ჭიშკარი.

## „ნეკრასოველნი“ — მოწინავენი

განაბული თეთრი ღამე ზღვას დაჰყურებს,
შოელვარე არემარეს ეფინება,

მეთევზეთა ნავსადგურში მთვლემარ ყურეს
მძიმე რხევით აპობს გემი ნება-ნება.

საძოვრიდან ძროხა გვიან რომ ბრუნდება
და ჭიშკართან მიაბლავლებს ზედიზედა, —
ის სურათი გამახსენდა, როცა გემმა
საყვირის ხმით გამალვიძა უცაბედად.

ძილის გუდა თურმე მე ერთს გამიხსნია,
ნავსადგურში კვლავ შრომა და ხალისია.

ავდექ, თვალწინ წარმომიდგა ჩვენებური
სურათები აფხაზეთის შეღამების.
გემი ისევ მომეჩვენა მეწველ ფურად,
შინ შემოსვლას რომ მოითხოვს შებლავლებით.

გონს ერთბაშად ვერ მოვსულვარ, აწვდილ
ხელით
ნავსაყუდარს ვაკვირდები შორით კიდევ.
დგას რეიდზე მშვენიერი დიდი გემი,
„ნეკრასოვი“ — აწერია გემის კიდეს.

ჰა, მობრუნდა, ღუზას უშვებს, უნდა შედგეს,
მკერდს ულოკავს ტალღა მწყრალი და
დიდგული.



მშფოთვარ ზღვასთან ის ექვსი თვის
ბრძოლის შემდეგ
დღეს დაბრუნდა წლის ნადავლით
დატვირთული.

* * *

ზღვის ტრფობა ჩემს გულში აენთო,
ვშორდები — ცრემლები მაწვიმს.
რაღაც გვაქვს მე და ზღვას საერთო.
ძილშიაც ის მიდგას თვალწინ.

ზღვის ლაღი დუდუნი რომ მესმის,
როდესაც ვისვენებ ზღვასთან, —
მაშინ თუ დავწერე მე ლექსი,
ზღვის ძალა ექნება მასაც.

ისე, ვით პოეტი, ზღვაც მძლეა,
დღე-ღამ რომ თეთრ ტალღებს ისხამს.
ვის ძალუძს ზღვის ჩიხში დამწყვდევა?
პოეტი შვილია ზღვისა;

პოეტიც აროდეს მშვიდდება,
გუგუნებს, ბობოქრობს, იწვის.
მისი ხმა ხან ლამპრად ინთება,
ხან ცეცხლზე მძაფრია მტრის წინ.

აი, ზღვას რად ვეტრფი გოლიათს,
ფიქრი სხვა სადგურს ვერ ჰპოვებს.
ზღვას როცა ჩავხედავ, მგონია,
შიგ გულში ჩავხედე პოეტს.

* * *

ჩამოველ მეორე დღეა]
და დარდი შემიპყრობს ხანდახან.
აქ რა მხრის ხალხი არ ღელავს,
ეჰ, ჩემო სამხრეთო, სადა ხარ!

მეძახის სამშობლო დედა,
ვნებდები ფიქრს ღრუბლად მოვარდნილს
და უცებ „აფხაზეთს“ ვხედავ,
ნავსადგურს ადგება ხომალდი.

ავდივარ, მგზავრს შევცქერ ყოველს,
კაპიტანს ხელს ვართმევ სიამით.
მგონია აფხაზეთს მოველ
და მხვდება სამშობლო მზიანი!





* * *

ერიდე, ვინაც ნიადაგ გიყურებს გაღიმებული,
ვინაც ფიცს გაძლევს: „მარადჟამ ვიქნები
შენი ერთგული!“

ის მაცდურია! იმ წუთში, პირს რომ ღიმილი
ადნება,
ასჯერ გიყიდის, ასჯერვე გაგყიდის
დაუნანებლად.



* * *

ვისგანაც გახდი სიკეთის ღირსი,
ნუ დაივიწყებ ცხოვრების გზებზე.
მაგრამ შენც თუ რამ კარგი ქმენ სხვისთვის,
თავს შეხსენებით ნუ მოაბეზრებ.





## თავმდაბალი ადამიანი

სიმღერას ჰგავდა სიცოცხლე მისი,
სიმღერის მადლი ენთო მკერდშიაც,
ომში წავიდა, როგორც ქორწილში,
რომ თბილი კერა გადაერჩინა.

ფრონტზეც თავმდაბლად ვიდოდა ისევ,
მომთმენი ავდრის, ცეცხლის, განგაშის,
და სანგარშიაც თავს გრძნობდა ისე,
ვით მამისეულ ოდა-დარბაზში.

თუმცა სიცივე ძვალში ატანდა,
სისხლს უყინავდა სისველე მიწის, —
მაინც მეტ ძალას გრძნობდა თანდათან,
არ გაუტეხავს მებრძოლის ფიცი.

დაჭრა, წვალება, თოვლი, ქარბუქი —
რა არ უნახავს მტერთან ბრძოლისას.

ეჭვით არასდროს შეკვრია შუბლი,
იყო მდუმარი, ვით ქვა „დოტისა“.

იყო მდუმარი არა იმისთვის—
თითქოს მოსწონდა ეს ყველაფერი,
სწამდა სიცოცხლე, სიმართლე მიზნის
და გამარჯვება შუქშენაფრქვევი.

აი, ამისთვის დუმილით, წვითა
ჯარისკაცულ ვალს იხდიდა წმინდად.

ერთი მედალი მიეღო რიგითს,
როდი ითვლიდა ორდენებს იგი,
მას ჭრილობაზე შეახმა სისხლი,
აი, ეს იყო ორდენიც მისი —
მკერდზე მიკრული პერანგის შიგნით.

გამარჯვების დღე დადგა ხალხისთვის,
ისევ გამართა გლეხმა სახნისი.
ასეთ მარჯვენას ნატრობდა მიწა,
როცა ის თოფით სანგარში იწვა.

ხვნა—გაზაფხულზე, ზაფხულში—მარგვლა,
შემოდგომაზე—ბეღლის ავსება...
თავისი საქმე იცოდა კარგად,
ხალხს ერთგულობდა და აფასებდა.

სხვათა ხალისის შუქით თბებოდა,
იღწვოდა ჩუმად და თავდახრილად.




არ უძებნია თანამდებობა,
არც მეომრობით უტრაბახნია.

მაგრამ წესი აქვს ბუნებას მკაცრი,
ყველას მიმართ რომ მძლე და მტკიცეა:
ამა თუ იმ წელს გაჩნდება კაცი,
ამა თუ იმ წელს გარდაიცვლება.

და მოკვდა ისიც, გარდაიცვალა,
სევდის კოცონი ჩვენს გულს აუნთო,
დავასაფლავეთ ოჯახის მამა
უდაფაზურნოდ და უსალუტოდ.

არ გადმოსცქერის მაღალი ძეგლი,
მისებრ ჩუმია საფლავიც მისი.
ის აღარ არის, მაგრამ ვიდრემდის
ცოცხლობდა, იყო სიცოცხლის ღირსი.

მოკვდა, სიკვდილსაც გულმშვიდად შეხვდა
და სხვას დაუთმო ადგილი ძველი.
კარგი ოჯახი დასტოვა ქვეყნად,
ჩვენ მოვუმართოთ დღეიდან ხელი.



## ჩემი სარწმუნოება

მე ერთხელ მკითხეს:—ვინა ხარ,
ვისი ჯურის და რწმენისა?
— ღარიბი გლეხის მოდგმა ვარ,
შვილი ტანჯვის და ღელვისა;

დედაჩემს სწამდა მაჰმადი,
მამამ ქრისტე სცნო მოწყალედ,
ირემს ნახავდა მუხლმარდი,
თურმე იჭერდა ცოცხლადვე;

უდრეკი გული და ძალა
თან დაჰყოლია ყრმობიდან.
დედა მშვენებით განთქმული,
კალმით ნახატი ყოფილა.

მაგრამ სტანჯავდა საბრალოთ
ბედი ავი და ავგული,



ყოფილან მივიწყებულნი,
უუფლებონი, ჩაგრულნი.

ყურანის მძიმე კანონი
ზღუდავდა იმათს ოცნებას.
მე თვით არ მახსოვს, გაგონილს
ვამბობ, თვალს ცრემლი მოსწყდება.

თურმე ამავ დროს ხანდახან
დაობდნენ ჩემი მშობლები,
ჩუმად ღორის ხორცს რომ სჭამდა
მამა—მაჰმადის მგმობელი.

საბრალო მამავ, რა მწარედ
დაგცინა ბედმა მაცთურმა,
ათასში ერთხელ შენაძენს
ხორცსაც ვერ ჭამდი კაცურად...

მე ორი რწმენის შვილი ვარ,
ამ წვით მოვსულვარ აქამდის.
თვით კი რომელი ერთი მწამს?
— არც ქრისტე, არცა მაჰმადი!

სიმართლეს ვამბობ! ჩემს რწმენას
ახსნაც მოჰყვება მისივე.
ახლავ გიამბობ, მკითხველო,
ოღონდ ბოლომდე მისმინე.

მე ვარ აფხაზი, მთის შვილი,
გული მაქვს მამისეული.
ჩემი მუდმივი სტიქია
არის ნაპრალი შვეული.

ჩემი აკვანი სივრცეა
უსაზღვრო, გაუთელავი,
ჩემი ფარული ოცნება—
ფეხდაუდგამი მწვერვალი.

ვამაყობ: გავჩნდი ამ ცის ქვეშ,
აქ ვცხოვრობ სვებედნიერი,
სადაც ხარობს და ზეიმობს
ხალხთა კავშირი ძლიერი.
არასდროს მელის ტყვეობა,
არ შემეცვლება იერი.

ჩემი რწმენაა ჩემივე
სიცოცხლე, აზრი ჯანმრთელი.
რა უნდა იყოს ამქვეყნად
მასზე წმინდა და ნათელი.

ჩემი რწმენაა სამშობლო,
ცა ლურჯად გადმომზირალი,
ჩემივე ახალგაზრდობა,
მოსკოვი მარად მზიანი.

ჩემი რწმენაა ლექსები,
რაც გულით მითქვამს, მიგრძვნია.



მისთვის საფასურს არ ვითხოვ,
ხალხისთვის გადამიცია.

მე ერთგული ვარ ამ რწმენის,
სიმართლის გზა რომ მაჩვენა,
ვით ჩემთვის არის ერთგული
ჩემივ თვალი და მარჯვენა.

ეს რწმენა როდი მოითხოვს
„მამაო ჩვენოს“ გალობას.
მან ამიცხადა ზღაპრები,
გულიც მისგანვე გალობდა,
მზადა ვარ, მარად დავიცვა
მისი ხმის შეუვალობა.

არც წამიკითხავს ყურანი,
დედავ, ნუ გაგიკვირდება.
მომიტევებდე ამ „ცოდვას“,
ყურანი რაღად მჭირდება.

არ წამიკითხავს აროდეს
არც ძველისძველი ბიბლია,
მიწა, ხატის წინ დამხობილს,
ცრემლებით არ დამილბია.

მარქსის, ლენინის მოძღვრება!
აი, ეს არი მთავარი,

სიბრძნის ულევი საბადო,
ჩემი სიცოცხლის ლამპარი.

პოეზია ხომ სუნთქვაა,
მადლია დედა ბუნების.
ხალხი ჩემს ლექსებს მღეროდეს,
ამ ნატვრას ვებულბულები.

და ვიტყვი: ბედნიერი ვარ,
გულს დარდი აღარ მატყვია,
თუკი ეს ჩემი სიმღერა
გამოადგება პარტიას.





* * *

მეგობრებმა ჩემმა, მწამს, იციან კარგად,
თუ რა უნდა ჩემს გულს, რაა მისი ფიქრი.
ვინც არ მიცნობს, ჩემზე ჭორებს ჩამოქარგავს:
„ჯერ ვერაფერს ხედავს თავის ცხვირის იქით.

რა ქაცია, რას ჰგავს, თითქოს ხეა ხმელი,
გრძნობა არ აქვს, ალბათ არი
სისხლდაცლილი...“
თქვენ ხომ მიცნობთ, თქვენგან კიცხვა მე არ
მელის,
აბა, როდის მნახეთ უგულო და ცივი?

მე ყოველთვის ვიწვი, გრძნობა მიპყრობს
კრძალვის,
ხალხისათვის მინდა, რაც სიკეთე ძალმიძს.

წამით არ მომაკლდეს ქვეყნად საზრუნველი,
ო, მარჯვენავ ჩემო, გაიწაფე მეტად,

რასაც შექმნი, იყოს უზადო და წრფელი,
ველარ მოერიოს ძალა მჭუხარ წელთა;

რომ ყოველი ლექსი იყოს მტრისთვის მტერი,
მოყვრის გულში შლიდეს ნაირფერად
ვარდებს.
სინანულით ჩემზე ვერ იფიქროს ვერვინ:
თვითკმაყოფილ კაცად იცნობდნენო ადრე.

ყველაფერი მსჯის და ტანში ჟრჟოლად
მივლის!
თავს ვთვლი უბედურად, ვწუხვარ, ვღელავ
მაშინ,
როს ქალწული ვინმე, ტუჩებშეღებილი,
უდარდელად შედის უსაქმობის ზღვაში;

როს ჩემს კბილა ვაჟკაცს სწვავს რაიმე სევდა,
სიყვარული, სითბო ჩაუქროლებს გვერდით;
როს ჭაბუკი ვინმე სადმე ტიალბედად
გზას ასცდება, ღელვით აღევსება მკერდი...

მსურს სუყველა იყოთ კარგად, როგორც
ერთი,
გაზაფხული სურნელს ყველას ერთად
გფენდეთ.
ადამიანებო, სიკეთე მსურს თქვენთვის,
გულით მჯერა თქვენი,
თქვენც მიწამეთ, მენდეთ!



## ს ა რ ჩ ე ვ ი


გვ.

*** (წინასიტყვაობა) — ხ. ბლაჟბასი . . . . . 3
ჩემი სიმდიდრე . . . . . 5
საახალწლო სუფრა . . . . . 8
მიყვარხარ, ჩემო მშობელო მხარევ . . . . . 14
პოეტის უკვდავება . . . . . 16
*** (ვგრძნობ, ჩემს გულში შემოვიდა გაზაფხული) 19
*** (ფანჯარასთან ვდგავარ, წვიმს) . . . . . 21
დიდი სიხარული . . . . . 23
ბარათი ფესტივალის მონაწილეებს . . . . . 26
მხარე სულის და გულისა . . . . . 34
*** (მიყვარს, როდესაც თოვს განუწყვეტლად) . . 39
მეგობრის გული . . . . . 41
ფიქრები ლენინზე . . . . . 43
*** (მშვიდად გავცქერი ქედებს გოლიათს) . . . 46
რითაა კარგი ეს ჩემი მხარე . . . . . 48
*** (აკვნის ჩვილები ვის არ გვიქია) . . . . . 51
ჭორიკანა . . . . . 52
ფიქრები მურმანსკში (რკალი)
*** (ბავშვობიდანვე შევზრდილვარ ზღვასთან) 56
„ნეკრასოველნი“—მოწინავენი . . . . . 57
*** (ზღვის ტრფობა ჩემს გულში აენთო) . . 59

*** (ჩამოველ მეორე დღეა) . . . . . 60
*** (ერიდე, ვინაც ნიადაგ შეგცქერს გაღიმებული) 61
***(ვისგანაც გახდი სიკეთის ღირსი) . . . . . 62
თავმდაბალი ადამიანი . . . . . 63
ჩემი სარწმუნოება . . . . . 66
*** (მეგობრებმა ჩემმა, მწამს, იციან კარგად) . . 71

რედაქტორი გ. კაჭახიძე
მხატვარი გ. გორდელაძე
მხატვ. რედაქტორი ო. ჯიშკარიანი
ტექრედაქტორი მ. მეძმარიაშვილი
კორექტორი ლ. ერისთავი

* * *

გადაეცა წარმოებას 16/XI-59,
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XII-59;
ანაწყობის ზომა 4×7,
ქაღალდის ზომა 70×92 1/32,
ნაბეჭდი თაბახი 4,75
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,71,
უე 08663 ტირაჟი 5.000 შეკვეთა № 1063
ფასი 1 მან.

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი

Типография № 4, Тбилиси, Медгородок

Алексей Ласуриа

СЕРДЦЕ ДРУГА

(На грузинском языке)

Художник Г. Горделадзе
Детиздат Грузинской ССР
Тбилиси
1960